№ 214
ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 214
ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. ,,ივერია“ ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

## კახელ მევენახეთა საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 27 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება ს. კისისხევს თ-დ ი. და ს. ქობულაშვილების სახლში.

განსახილველი საგნები: გადაშინჯვა და დამტკიცება: წლიური ანგარიშისა, ხარჯთ-აღრიცხვისა, დამფასებელ კომისიის ინსტრუქციისა; არჩევა: სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და გამგეობის თავმჯდომარისა, ბადლად გარდაცვალებულის თ-დ დ. ი. ავალიშვილისა. (3—3)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა** ამითი აცხადებს, რომ ამა წლის გაზეთ „კავკაზის“ მე-247, 248 და 249 №№-სა და „ივერიის“ მე-194, 195 და 196 №№-ში დაბეჭდილ, სესხის გარდასახადთა დროზედ შემოუტანლობისა გამო სხვადა-სხვათა მამულის გაყიდვის შესახებ განცხადებაში შეცდომით საჯარო ვაჭრობის დღედ დასახელებული იყო **23 ოქტომბერი**, უნდა ყოფილიყო-კი **24 ნოემბერი**, რადგან ამ დღეს მოხდება საჯარო ვაჭრობა გაზ. „კავკაზისა“ და „ივერიის“ ზემოდ დასახელებულს ნომრებში გამოცხადებულის მამულებისა.

(3—ნ.—1)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. ს. მესხის** მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

### ცოდვის შვილი

დრ. 3 მოქ. დიუმა-შვილისა, თარგ. ქუჯისა.

II

### ბარაქალა მასწავლებელო!

ვოდ. 1 მოქ., გად. საფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, გარელი და სხვანი. ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გამყრელიძე, კანდელაკი, კარბელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

მთავრობის განკარგულებანი

## სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება

(დასასრული *)

VI საზოგადოების გაუქმება

§ 65. ამხანაგობის გაუქმება შეიძლება საზოგადო კრების დადგენილებით, რომელშიაც მონაწილეობას უნდა იღებდეს ამხანაგობის წევრთა $^2/_3$ ხმაზედ არა ნაკლები და აზრს საზოგადოების გაუქმებისას უნდა მიემხროს დამსწრე წევრთა $^2/_3$ ხმაზედ არა ნაკლები. ამასთანავე ორი საგანგებო სხდომა უნდა მოხდეს ზედი-ზედ კრებისა და თუ რომ მეორე სხდომის წინად, რომელიც დანიშნულ უნდა იქმნას ერთს თვეზე არა ადრე, საბაბი ამხანაგობის გაუქმებისა არ იქმნა მაინც აშორებული, გარდაწყვეტილება ამხანაგობის გაუქმების შესახებ ძალაში უნდა შევიდეს. თუ ერთ-ერთს სხდომას, რომელმაც ამხანაგობის გაუქმების საქმე უნდა განიხილოს, იმდენი წევრი არ დაესწრო, რომ ყველას ერთად ჰქონდეს $^2/_3$ ამხანაგობის წევრთა გენშის რაოდენობისა, დანიშნულ უნდა იქმნას, წესდების მე-35 § თანახმად, არ-შემდგარის ნაცვლად ახალი სხდომა, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. როცა ამხანაგობა შეუდგება თავის საქმეთა მოსპობას, ეს გარემოება უნდა აუწყოს, გუბერნატორის შემწეობით, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და გამოაცხადოს საყოველთაო საცნობლად. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მოქმედება მოსპობილ იქმნა, საზოგადო კრება სალიკვიდაციო კომისიის წევრებად თავისს წევრთა შორის ირჩევს სამს კაცზედ არა ნაკლებს და აღნიშნავს წესსა და რიგს, საზოგადოების საქმეები როგორ უნდა იქმნას გაუქმებულ. ამ კომისიამ უნდა ჩაიბაროს გამგეობისაგან საქმეები. ამხანაგობის გამაუქმებელნი (ლიკვიდატორები) იწვევენ უწყებათა და განცხადებათა შემწეობით ამხანაგობის მევალეთ, ყოველს ღონეს ჰხმარობენ, რომ სავსებით იქმნან ისინი დაკმაყოფილებულნი, აბარებენ ამხანაგობის ქონებასა და საურთიერთო ნება-ყოფლობით ურიგდებიან ყველას, ვისაც საქმე და ანგარიში ჰქონდა ამხანაგობასთან, იმ წესის თანახმად, რომელსაც საზოგადო კრება დაადგენს. თანხა, რომელიც მოვალეების დასაკმაყოფილებლად და სხვა სადავო საგნებისათვის არის დანიშნული, გამაუქმებლებმა მევალეთა სახელობაზედ ერთ ერთს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში უნდა შეიტანონ; მანამდი-კი არ შეიძლება დაკმაყოფილება საწევრო ფულის პატრონთა, რომელთაც მიეცემათ თავ-თავისი ხვედრი იმის და კვალობაზედ, თუ რაოდენი შეძლება გადარჩება ამხანაგობას, საწევრო ფული ამ ფულის დივიდენდით, ანუ მომხდარის ზარალის ნაწილის გამოკლებით, პატრონს დაუბრუნდება. ამხანაგობის ვალების გასტუმრების შემდეგ ამხანაგობის დარჩენილი ქონება და სათადარიგო თანხა, ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა თანახმად, უნდა განაწილებულ იქმნას ამხანაგობის იმ წევრთა შორის, რომელნიც იმისის არსებობის უკანასკნელ წელიწადს ირიცხებოდნენ წევრებად. გამაუქმებელნი მოვალენი არიან ყოველდღივე თავისი მოქმედება აცნობონ საზოგადო კრებას კრების მიერ დადგენილ ვადაზედ და, ამის გარდა, ამხანაგობის გაუქმების შემდეგ კრებასვე წარუდგინონ საზოგადო ანგარიში. თუ გაუქმების გათავების შემდეგ ზოგი მათგანი, ვისაც ფული ეკუთვნის ამხანაგობისგან, არ გამოცხადდება და არ წაიღებს თავის ფულს, მაშინ ეს ფული ერთ-ერთს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში უნდა იქმნას შეტანილი, რომ პატრონმა იქიდგან მოიკითხოს. ხოლო თუ პატრონი მაინც არ გამოცხადდა და ათის წლის ვადა გავიდა, იგი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, საქველ-მოქმედო საქმეს უნდა მოხმარდეს.

§ 66. ყოველ სხვა შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებაში წინ და წინვე დანახული და განსაზღვრული არ არის, ამხანაგობა ხელმძღვანელობს საზოგადო კანონებით, როგორც აწ არსებულისა, აგრეთვე იმითიც, რომელნიც შემდეგ იქმნება გამოცემული.

*) იხ. „ივერია“ 213.

ებოძათ: განჯის მე-156 ქვეითა ჯარის პოდპრაპორშჩიკს ტორტლაძეს—პოდპორუჩიკობა და პორუჩიკს მდივანს—შტაბს-კაპიტნობა.

დანიშნულ იქმნა: კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის კაპიტანი ქუთათელაძე — მე-20 არტილერიის ბრიგადის მე-5 ბატარეის უფროსად.

## ახალი ამბავი

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 15 ოქტომბერს, ქართულს თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია საფრანგეთის შესანიშნავის მწერალის ალექსანდრე დიუმა-შვილის, ქართულს სცენაზედ ჯერ არ ნათამაშევი, სამ-მოქმედებიანი დრამა ,,ცოდვის შვილი“, თარგმანი ქუჯისა, და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი: ,,ბარაქალა, მასწავლებელო“! მონაწილეობას ბ-ნი, მესხთა და ვ. აბაშიძის გარდა, იღებენ ქართულის დასის საუკეთესო არტისტები.

*** კვირას, 12 ოქტომბერს, ნაძალადევში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იყო ,,თამარ ბატონიშვილი“, დრამა კ. მესხისა. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა და ხალხიც საკმაოდ ბევრი დაესწრო. თამარის როლი ქ. ხაფთასიამ მშვენივრად შეასრულა, რის გამოც საზოგადოებამ ,,ვაშას“ ძახილითა და თაიგულით დააჯილდოვა. კარგი იყო ბ-ნი იმედაშვილი ელისბარის როლში, აგრეთვე შალვას როლის აღმასრულებელი ბ-ნი ინასარიძე.

*** ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულმა კომისიამ, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს ევროპიდგან მოსატან საქონელზე დადებულ გარდასახადთა ტარიფი, სხვათა შორის საჭიროდა სცნა ჩვენში აბრეშუმის მოყვანის საქმის დასახმარებლად მოუმატოს გარდასახადი საზღვარგარეთიდგან მოტანილს აბრეშუმზე.

*** ტფილისში მალე დაიწყება აქაურ სამოქალაქო და დაბალ სასწავლებლების მასწავლებელთა კრებები.

*** პეტერბურგის ერთი გაზეთი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ქალაქების თვით მმართველობათ ჩააბაროს საქმე სახელმწიფო გარდასახადისა, რომელიც უნდა დაეწეროს ქირით სახლის დამჭერთ, ხოლო იმ პირობით-კი, რომ გაწერვა და აკრეფვა ამ გარდასახადისა უკვე არსებულის წესითა და რიგით მოხდეს.

*** ტფილისში უკვე მოვიდა პოდპოლკოვნიკი ვირუბოვი, რომელიც დანიშნულ იქმნა რკინის გზის ჟანდარმთა ტფილისის მმართველობის უფროსად, პოლკოვნიკის პეტროპავლოვსკის მაგიერად.

*** გორის მაზრის სოფელ მერეთიდგან აზნ. ისაია ფურცელაძემ გამოჰგზავნა ტფილისში გამოფენისათვის თავისის ბაღის ხილი. სხვათა შორის ძლიერ საყურადღებოა თურმე ბ-ნ ფურცელაძის მიერ გამოგზავნილი ვაშლი და მსხალი. ხილის მოყვანა დაუწყვია ბ-ნ ფურცელაძეს 1872 წლიდგან და 20 დღიურის ოდენა ადგილზედ გაუშენებია ბაღი ხილის მოსაყვანად.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლებად დამტკიცებულ იქმნენ ტფილისის გუბერნიისა თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი და ქუთაისისა—თავ. ს. გ. წერეთელი.

*** სოფ. იანეთი, (ქუთაისის მაზრა). დადგა ,,როველი“ და დაიწყეს აქაურმა წვრილმანმა მოვაჭრე-ჩარჩებმა სიმინდით ვაჭრობა, რამაც დიდად შეაწუხა ჩვენი საზოგადოება. გაიგეს თუ არა ბავშვებმა, საწვრილმანო კარვები გააკეთესო, მოედვნენ საწყალ მუშის ნაშრომ-ნადაგ სარჩოსაბადებელს სიმინდის ყანას, რომლის მეტი არა გააჩნია-რა საცოდავს გლეხს, და სულ გაუნახევრეს, იპარავენ, მიაქვთ მოვაჭრეთა კარავებში და იქ ჰყიდიან. ნახევარ ფუთს სიმინდს შაურათ ყიდულობენ და იმ შაურში სასარგებლო საქონელს ან საჭირო რაიმე ნივთს მაინც იძლეოდნენ!.. ან უნდა მისცენ დამპალი რამ და ან ბავშვების სათამაშო. რა ქნას საწყალმა გლეხმა, პირუტყვისაგან იპატივოს თავისი ყანა, ადამიანისაგან, თუ იმუშაოს და თვისი სარჩო-საბადებელი შინ წაიღოს. ამის გამო ჩვენი სოფელი დიდს ზარალშია. ჯერ ერთი, ბავშვები ირყვნებიან (არც ზოგიერთი დიდები თაკილობენ ამ საზიზღარს ქურდობას); მეორე, ხალხს ეცლება ხელიდგან თავისი წლის სარჩო და მუქთად უვარდება ხელში ჩარჩებს; მესამე, საწყალმა გლეხმა აღარ იცის, იმუშაოს თუ თავისს ყანას უდარაჯოს.

## ქალაქის საბჭო.

13 ოქტომბერი

კრება დაიწყო $8^1/_4$ საათზედ. წინანდელი კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარე შეეკითხა ხმოსნებს, ხომ არავის აქვს რამ სათქმელი ოქმის წინაღმდეგაო.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. წინანდელს კრებაზედ, როდესაც ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვმა უარი განაცხადა ყუთის დადგმაზედ, თავმჯდომარემ თუმცა ამ საგნის შესახებ სჯა-კამათის ნება მისცა ხმოსნებს, მაგრამ ბოლოს მაინც თვით გადასწყვიტა იგი და თავის ნებით აღებინა თავ. თუმანოვის ყუთი, მაშინ როდესაც ხმოსანთა უმრავლესობას უნდა გადაეწყვიტა ეს საგანი. ამიტომ მე წინანდელის კრების არჩევანები უკანონოდ მიმაჩნია.

ხმ. ი. ა. თაიროვი. მართალია, თავმჯდომარემ სჯა-კამათის ნება მოგვცა, მაგრამ გადაწყვეტით თვით უნდა გადაეწყვიტა ეს საგანი, რადგანაც კანონში ამ საგნის შესახებ არაფერია ნათქვამი იმის გარდა, რომ თავმჯდომარემ თავისის აზრით უნდა იხელმძღვანელოს და ისე მოიქცეს, როგორც თვით დაინახავს საუკეთესოდ. წარსულ კრებაზედაც ასე მოხდა, ამიტომ უკანონო აქ არაფერია, ხოლო ვინც უკმაყოფილოა საბჭოს დადგენილებისა, იმას შეუძლიან თავისი კერძო აზრი ოქმში აღნიშნოს.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. მე ვთხოულობ, რომ ვიდრე ჩემს კერძო აზრს ოქმში აღვნიშნავდე, საბჭომ მოისმინოს იგი და განსაჯოს. (ხმაურობა ასტყდება, აქა-იქ გაისმის: აქ ეხლა დრო არ არის კერძო აზრის წარმოთქმისა, ოქმში აღნიშნეთო და სხვა).

ხმ. ა. ა. ქალანთარი. ყოველი კერძო აზრი, რომელიც ოქმში უნდა იქმნას აღნიშნული, ჯერ საბჭომ უნდა მოისმინოს და განსაჯოს. კანონი ამისი წინააღმდეგი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმ. პ. ი. ალიბეგოვი. აქ მხოლოდ იმათი აზრი უნდა მოვისმინოთ, ვინც ოქმის წინააღმდეგია, და არა იმათი, ვინც წინანდელის კრების დადგენილების წინააღმდეგია. ყოველს შემთხვევაში, ჯერ პირველი საქმე უნდა დავასრულოთ და მერე მეორე. (კვლავ ხმაურობა ასტყდა: „არ გვინდა კერძო აზრი, არ მოვისმენთ").

ხმ. ა. ს. ბაბოვი. (გაცხარებული) თქვენ ძალასა ჰხმარობთ, ნებას არ გვაძლევთ წარმოვსთქვათ ჩვენი აზრი... (ხმაურობაა).

თავმჯდომარე. (შეეკითხა საბჭოს). ვის უნდა მოისმინოს ხმ. ბაბოვის აზრი (უმეტესობა ფეხზედ ადგება).

ხმ. ა. ს. ბაბოვი. კითხულობს თავის კერძო აზრს, რომელიც მოკლედ შემდეგის შინაარსისა: „6 ოქტომბრის არჩევნები მე უკანონოდ მიმაჩნია ამ საბუთების ძალით: 1, თუმცა ხმოსანმა თავ. გ. მ. თუმანოვმა გამოუცხადა თავმჯდომარეს, რომ ჩემი ყუთი აიღეთო, ამ უკანასკნელმა არ აღასრულა იმისი თხოვნა და ყუთი არ აიღო. მან კენჭის ყრა განაგრძო იმ დრომდე, ვიდრე ის ხმოსნები არ იქმნენ გამოწვეულნი, რომელთა გვარიც ასო „კ"-ით იწყება.

2, თავმჯდომარემ, შესწყვიტა რა ერთის ხმოსნის თხოვნით კენჭის ყრა, სჯა-კამათის დროს ნება მისცა ზოგიერთ ხმოსნებს ორივე კანდიდატის ღირსება-ნაკლულევანებას შეჰხებოდნენ.

3, სჯა-კამათის დროს ზოგიერთმა იმ ხმოსანთაგანმა, რომელთაც კენჭები ჩაჰყარეს, პირდაპირ აღიარეს, ვის თეთრი ჩაუგდეს და ვის შავი, რასაც არ შეიძლება გავლენა არა ჰქონოდა შემდეგს კენჭის ყრაზედ.

4, თავმჯდომარე, თავ. გ. მ. თუმანოვის უარის განცხადების შემდეგ, არ შეეკითხა იმათ, რომელნიც წინად იყვნენ დასახელებულნი ქალაქის თავის კანდიდატებად, ჰსურდათ თუ არა კენჭის ყრა. თუმცა პირველად უარი სთქვეს, მაგრამ შეიძლება თუმანოვის ყუთის აღების შემდეგ თანხმობა განეცხადებინათ.

5, თავმჯდომარემ, თავად თუმანოვის ყუთის აღების შემდეგ, ნება არ მისცა ხმოსნებს ახალის კანდიდატის დასახელებისა, ამით საშუალება მოუსპო საბჭოს ერთს ნახევარს, რომ კენჭი, იმათის აზრით, უფრო ღირსეულის კანდიდატისთვის ჩაეგდოთ.

6, თავმჯდომარემ, ზოგიერთა ხმოსანთა აზრს იმის შესახებ, რომ თუმანოვის უარის შემდეგ კენჭის ყრის განგრძობა უკანონო არის და ევანგულოვის ყუთიც აღებულ უნდა იქმნასო, ხმა არ ჩამოუტარა და ისე არ გადასწყვიტა, არამედ თავისის ნებით განაგრძო კენჭის ყრა და დასასრულ

7, ამის გამო კენჭის ყრის საქმე უკანონო გზას დაადგა, რადგანაც ზოგიერთმა ხმოსნებმა კენჭი მაშინ ჩააგდეს, როდესაც ორი ყუთი იდგა, ხოლო ზოგიერთებმა მაშინ, როდესაც ერთი ყუთი იდგა. ყველა ზემოდ დასახელებულის საბუთის ძალით ხმ. ბაბოვმა განაცხადა, უკანონოდ ვთვლი ქალაქის თავის არჩევანებს და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ, ქალაქის დებულების მე-119 მუხლის თანახმად, ხელ-ახლად იქმნას მომხდარი ქალაქის თავის არჩევანები. ეს თავისი აზრი ბაბოვმა ოქმში აღნიშნა.

შემდეგ საბჭომ მოისმინა ფრიად საყურადღებო მოხსენება გამგეობისა ტფილისში უმაღლესის სასწავლებლის—პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

როგორც ამ ვრცელისა და დასაბუთებულის მოხსენებიდგანა სჩანს, ქალაქის თვით-მმართველობა კარგა ხანია სცდილობს, რომ ტფილისში უმაღლესი სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ჯერ ისევ 1894 წ. ამ აზრით ცალკე კომისია იქმნა არჩეული, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ყოველ მხრივ ეს საგანი. ამავე დროს მეურნეობის მინისტრის ტფილისში ჩამოსვლის გამო ქალაქის თვით-მართველობამ თხოვნა მიართო მისს უაღმატებულესობას პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მოსვლია. ამ დროს ტფილისს სხვა მეტოქეც გამოუჩნდა, სახელდობრ კავკავი, რომელმაც უკვე მიართვა სამინისტროს თხოვნა კავკავში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. ამასთანავე კავკავის საბჭომ მიჰმართა კავკასიის ყველა ქალაქებს და მათ შორის ტფილისსაც, და ფულად დახმარება სთხოვა. თავის წერილში კავკავის საბჭოს მოჰყავს ის საბუთები და მოსაზრებანი, რომელთა ძალით პოლიტეხნიკუმი კავკავში უნდა იქმნას დაარსებული და არა რომელსამე სხვა ქალაქში. ტფილისის ქალაქის გამგეობა თავისს მოხსენებაში დაწვრილებით არჩევს ყველა ამ საბუთებს და ნათელ ჰყოფს, რომ საპოლიტეხნიკუმოდ შესაფერი ქალაქი ტფილისია და არა კავკავიო. ბოლოს გამგეობა ურჩევს საბჭოს, რომ არ შეიწყნაროს კავკავის საბჭოს შუამდგომლობა დახმარების შესახებ და ცალკე კომისია აირჩიოს და დაავალოს, რომ მან ახლო მომავალში წარუდგინოს საბჭოს თავისი აზრი იმის გამო, დაარსებულ იქმნას თუ არა განსაკუთრებული კომიტეტი პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ ფულის შეკრებისათვის და საზოგადოდ ამ საქმის ყოველ მხრივ შესამუშავებლად.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვის მოხსენება პოლიტეხნიკუმისავე დაარსების შესახებ. ხმ. თუმანოვიც, როგორც გამგეობა, საჭიროდ სცნობს, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ დააჩქაროს და, რაც შეიძლება, მალე აღასრულოს ეს ფრიად საკეთილო და მთელის ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე. თავისის მხრივ თავ. თუმანოვი ურჩევს, რომ მხოლოდ ერთი კომისია იქმნას არჩეული, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ეს საგანი, ფულიც მოკრიბოს და მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს.

ამ საგანმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია ხმოსანთა შორის. თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ქალაქმა უარი შეუთვალოს კავკავის საბჭოს და თვით ეცადოს, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი იქმნას დაარსებულიო. აზრთა შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, თუ როგორ შეუდგეს საბჭო საქმეს და რა გვარი კომისია აირჩიოს ამ საქმის გამოსარკვევად და რა უფლებანი მიანიჭოს.

ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვი. ჩემი წინადადება იმითი განირჩევა გამგეობის წინადადებისაგან, რომ იგი უფრო მარტივია და საქმეს შესასრულებლად უფრო ადვილ ჰყოფს. ქალაქის გამგეობის აზრით ჯერ ერთი კომისია უნდა ავირჩიოთ, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარმოადგინოს, მერე კომიტეტი, რომელმაც უნდა შეიმუშავოს საგანი. ასე საქმე ძალიან გაჭიანურდება და პოლიტეხნიკუმის დაარსებას ვერ ვეღირსებით. ისა სჯობია, როგორც ჩემ მოხსენებაშიაც არის ნათქვამი, რომ ერთი კომისია ავირჩიოთ და ყველაფერი იმას მივანდოთ. რაც შეეხება საქმის კიდევ დაწვრილებით შემუშავებას, ეგ სულ მეტია, რადგანაც გამგეობის მოხსენებაში სავსებით არის იგი შემუშავებული. ჩემის აზრით, საჭიროა თვით ეგ მოხსენება ზოგიერთის ადგილების გამოკლებით გაეგზავნოს საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ სამეცნიერო კომიტეტს.

ხმ. ი. ა. თაიროვი. გამგეობის მოხსენება იმდენად სრულია, რომ იგი აღარავითარს დამატებას არა ჰსაჭიროებს. ისეთის უფლებებით აღჭურვილის კომისიის არჩევა, როგორსაც თუმანოვი ჰბძანებს, ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგანაც ქალაქის დებულება არ გვაძლევს ნებას. ამიტომ, რადგან საგანი საკმაოდ შემუშავებულია, უმჯობესი იქნება კომისიებს თავი გავანებოთ და დღესვე მივანდოთ გამგეობას, რომ შუამდგომლობა დაიწყოს როგორც პოლიტეხნიკუმის დაარსებისა, აგრეთვე ამ საქმისათვის საჭირო ფულის მოკრების ნება რთვის აღების შესახებ.

ხმ. მ. ი. თამამშოვი. კომისიის ამორჩევამდე ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც კავკავის საბჭო მოიქცა. ჯერ უნდა შევიტყოთ, თანაგვიგრძნობენ თუ არა კავკასიის სხვა ქალაქები, რომ ტფილისში იქმნას დაარსებული პოლიტეხნიკუმი. მაშინ შემოწირულებანიც მეტი შეიკრიბება.

შემდეგ სხვა ხმოსნებმა უმთავრესი ყურადღება ქონებრივ მხარეს მიაქციეს და სთქვეს, რომ თუ ქალაქი საჭირო ფულის მოკრებას მოახერხებს, პოლიტეხნიკუმის დაარსებასაც არაფერი დაუდგება წინაო.

ბოლოს საბჭომ დაადგინა: არ იქმნას შეწყნარებული ქალაქ კავკავის შუამდგომლობა დახმარების შესახებ; 2, განაახლოს შუამდგომლობა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ და 3, აირჩიოს ცალკე კომისია ამ შუამდგომლობის შესამუშავებლად და საჭირო ფულის გამოსაძებნად.

კომისიის წევრების არჩევანი შემდეგში იქნება. სხვათა შორის წევრებად დასახელებულ იქმნენ. ი. ე. ფითოევი, ა. ი. მანთაშოვი, თავ. ზ. გ. ერისთავი, თავ. გ. მ. თუმანოვი, ა. ს. ბაბოვი, კ. ნ. რეიტერი, მ. ი. თამამშოვი. თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, კ. მ. ალიხანოვი, პ. ა. ოპოჩინინი და სხვანი.

კრება $11^{1}/_{2}$ საათზედ დაიშალა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. გუდაუთი**, (აფხაზეთი), 8 ოქტომბერი. მთელს დასავლეთ აფხაზეთში, ეგრედ წოდებულ ბზიფში, რომელიც შესდგება ჩვენის დაბის გარდა, 12 აფხაზებით დასახლებულ საზოგადოებისაგან, 3 რუსთა და 1 სომეხთა საზოგადოებისაგან, მოგვეპოება ერთადერთი ფერშალი. მცხოვრებლების გარდა, ამ ჩვენს ნაწილში მუდამ ბლომადაა მუშა ხალხი, რომელიც ზოგი თამბაქოს პლანტაციებში ჰმუშაობს, ზოგი სად და ზოგი სად. აქ გასაჭირის დროს ექიმის შოვნა ყოვლად შეუძლებელია! საწყალი ერთი ფერშალი ვის სად უნდა გასწვდეს და ან, რომ გასწვდეს, მაინც კმარა მისი ცოდნა-დახმარება? ექიმი გასაჭირის დროს უნდა გამოიწერო ქალაქ სოხუმიდგან, და ეს გამოწერა ჯდება 50—100 მანეთამდე! ფულს ჯანი გავარდეს, ვისაც შეძლება აქვს, გამოიწერდა,—ბეჩავი ხალხი ყველგან ხომ ერთ ტაფაში იხრაკება!— მაგრამ, მაგარი ის არის, რომ დროზედ ვერ მოგისწრობს ექიმი: მარტო ჩვენი დაბა რომ ავიღოთ, იმასა და სოხუმს შუა 42 ვერსია და სანამ ამ მანძილს გამოივლიდეს მოწვეული ექიმი, ავადმყოფს კი არა, ჯანსაღსაც, ვგონებ, სული ამოხდება! ეს გუდაუთლები. ეხლა რა ჰქნას განაპირა სოფლების მცხოვრებმა, მაგალითებრ სოფელ კალდახვარისამ, რომელიც სოხუმს ჰშორავს 90 ვერსით? ამას დაუმატეთ ჩვენი უგზოობაც. ეხლა, ვიმეორებ, რა ჰქნას ყოველგან დატანჯულმა ღარიბ ხალხმა? ისევ ისე მკითხავ-ზვარაკებს უნდა მიჰმართოს?

ამას ისიც რომ დაუმატოთ, რომ აქაური ექიმები რაოდენად გულქვანი არიან, მაშინ მკითხველს ნათლად დაეხატება თვალწინ ამ მხრივ ჩვენი უმწეობა. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ გუდაუთიდგან დეპეშით მოუწვიათ ექიმი და ექიმს დეპეშითვე უპასუხოს: „Передайте такому-то фельдшеру сто рублей, тогда пріѣду"-ო! და სხვა.

შემთხვევით ვსარგებლობ: მიკვირს, რატომ ჩვენს დალოცვილს სოხუმში ერთი ქართველი ექიმი არ არის? ეს კოპწია ქალაქი თითქმის მთლად ქართველებისაგან არის დასახლებული და ყველა იმას მიჰმართავდა, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს-რა, ენის უცოდინარობით უცხო ექიმს ვეღარა სთხოვენ შველას. სასურველია, რომ ახალგაზდა ექიმი ვინმე აქ დაბინავდებოდეს, არას წააგებს.

აი ამ უექიმობისა გამო ხალხი წყდება ბუზსავით სხვა და სხვა სენით, და ამათს ტანჯვას ყურს არავინ აქცევს. მაგალითად, ამ წლის დამდეგს სოფელ დურიფშში სახადით სამი ოჯახი დედაბუდიან გაწყდა, და არც-კი არავის მოუკითხავს! რამდენჯერ ყოფილა მაგალითი, რომ უსახლ-კარო მუშა ენახოთ მკვდარი მინდვრად, ან ქუჩაზედ.

არა ნაკლებ გაჭირვებაში ვართ ჩვენის აფთიაქის უვარგისობით: თუ ათასში ერთხელ გადმოგვხედა ღმერთმა და ხელში ჩავიგდეთ დოქტორის „რეცეპტი", მაშინაც არა ვართ დარწმუნებულნი, რომ წამალს რიგიანად და შესაფერს მივიღებთ. ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩვენის მეაფთიაქის სითამამეს?

გვეგონა, ჩვენ ამ მხრივ მზემ თავისი სიცოცხლის მომნიჭებელი სხივები ამოგვიშუქაო, რადგან ბოლოს გუბერნიის საექიმო სამმართველომ მიაქცია ყურადღება ამ კაყბატონსაო,—მაგრამ მოვსტყუვდით. ნათქვამია, უბედურს ქვა აღმართზე მოეწევაო.

ჩვენს მეორე ვარამს შეადგენს მომრიგებელ-სასამართლოს უქონლობა. სამართლის საძებრად სოხუმშივე უნდა წავიდეთ. რადგანაც წასვლა-მოსვლა უგზო უკვლობის გამო ძალიან ძნელია და ძვირადაც ჯდება, ამიტომ ცოტა რამ საქმეზე იძულებულნი ვართ სამართლის მიებას თავი დავანებოთ. კიდევ კარგი, რომ „ცოტა რამეზე" შინაურულად მოვრიგდებოდეთ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მორიგების მაგიერ, თავპირს ვამტვრევთ ერთურთს და რწყილს აქლემს ვაშობინებთ. აქ ერთ მაგალითსაც მოვიყვანთ: ამ ხუთის წლის წინად ერთის გლეხის 15 მ. ემართა ვიღაც აზნაურს. გლეხმა თითქმის ოცჯერ სთხოვა აზნაურს, მომეცი ეს 15 მანეთი, და მაინც ვერ აიღო. წავიდეს სოხუმში—მეორე თხუთმეტი მანეთი არ ეყოფა ხარჯად. იფიქრა, იფიქრა და თავი მიანება სულ ამ საქმეს; მაგრამ დახე მის ბედისწერას! ესენი შეხვდნენ ერთმანეთს გზაზედ: აზნაურს თანა ჰყავდა ერთი „ვნიაზიც". აი, აქ გზაზე გაბედა ბეჩავმა გლეხმა და სთხოვა თავისი თხუთმეტი მანეთი. ფულის მაგიერ, საცოდავს გლეხს მათრახებით ზურგის კანი აუწყვეს. ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა და შური იმის ვნიაზზედ: ერთს კრებაზედ თავი გაუჩეხა... ამას მოჰყვა ცამეტის კაცის სიკვდილი! თხუთმეტ მანეთისთვის ცამეტის კაცის სიკვდილი შეუძლებელია, ზღაპარიაო, იფიქრებს მკითხველი, მაგრამ ეს ნამდვილი გახლავთ. აქ „სუდი" რა შუაშიაო, შეიძლება მიპასუხოთ. მაგრამ „სუდი" „კაი" შუაშია, გურულებისა არ იყოს: საცოდავ გლეხს (მოკლულ იქმნა) თავისს თხუთმეტ მანეთს მიუსჯიდა, რადგანაც აზნაურისაგან ბარათი ჰქონდა და არც შურის მიება, არც კაცის კვლა აღარ იქმნებოდა.

აქაურ საზოგადოებათ არა ერთხელ აღუძრავთ მთავრობასთან თხოვნა: გვიშველეთ, „სუდი" და ექიმი გაგვიმწესეთო.

ეხლა ცოტა რამ თვით ჩვენ დაბაზედაც: აქ ხომ კაცს არ ეცხოვრება წვრილმან თათარ-ვაჭრებისაგან. ეს ვაჟბატონები რიყრაყისას მიდიან და გზას უღობავენ სოფლელებს, რათა მუქთად თითონ ჩაიგდონ სოფლიდგან ჩამოტანილი სანოვაგე. მცხოვრებნი კი სასტიკად რჩებიან. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისაც ჯერ არს, და წესიერად მოაწყონ.

მივაქცევთ ჩვენის სანიტარების ყურადღებას აქაურ საზოგადო სანოვაგის უვარგისობას. აქ გამომცხვარი პური კაცს არ ეჭმევა, დალოცვილი ჩვენი სანიტრები პირველად „მომზადებულ ПРОТОКОЛЪ"-ით ხელში დადიოდნენ და ეხლა რაღად აიცრუეს გული? ნეხვითა და ტალახით შემკულ ქუჩების თვალიერებამ თუ მიამინა ეს დალოცვილები?

ჩვენ ერთად-ერთი სასეირნო ადგილი გვქონდა, ეგრედ წოდებული „ბულვარი". ამ უკანასკნელ დროს ჩვენი „წალკოტი" საცხენედ გარდააქციეს. უსუფთაობას ვინ სჩივის, რომ შეგვეძლოს უშიშრად შიგ გავლა-გასეირნება: ყოველ წუთში ყველგან უნდა ვუფთხოდეთ და გვეშინოდეს იმერულის წიხლისა, თუ გურულის კვანტისა! ხომ ჰხედავთ, ცხენებსაც სარგებლობის მაგიერ, უბედურების მოტანა შეუძლიანთ.

მე მგონია, ჩვენს დაბას მთელს საქართველოში შეუძლიან პირველი ადგილი დაიჭიროს ერთ შემთხვევაში—ბანქოს თამაშობის მხრივა. ვთამაშობთ დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, მუდამ ჟამს, „დღისით, ბინდისას დილით, დამეცა" ეს სახელი თუ არა ჩვენთვის, მაშ რა ჯანდაბაა?

ხან და ხან ჭორიკანობა-ჭირიანობას თავს დავახწევდით ქართულ წარმოდგენებით. წრეულს ამ მხრივაც გვიმტყუნა ბედმა: სცენის მოყვარეთ თავი საღო-

რას ძაღლს მისცეს და ჩვენ მშრალზედ დაგვსვეს. რა არის მიზეზი, არ ვიცით? ნუ თუ ისინი ზოგიერთ უსაქმურ ხალხის მითქმა მოთქმით შეშინდნენ და წარმოდგენებს თავი დაანებეს? არა გვგონია.

დათიკო ვერმიცანაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

დღეს მივიღეთ სანიმუშო ნომერი ახალის რუსულის ყოველ-კვირეულ გაზეთისა ,,რუსეთი და აზია'', რომელიც კიევში იბეჭდება. ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ქართველთათვის ცნობილი ა. ნ. გრენია. გაზეთს აზრად აქვს უმთავრესად აღნიშნოს და თვალ-ყური ადევნოს აღმოსავლეთს, ებრაელობას, კავკასიას, თურქესტანსა და ციმბირს. სანიმუშო ნომერი საინტერესოდ არის შედგენილი. სხვათა შორის, დაბეჭდილია შემდეგი წერილები: ,,რა როლს უნდა ასრულებდეს რუსეთი ინგლის-ავღანისტანის უთანხმოებაში'', ,,კავკასიის ავაზაკობის შესახებ'', ,,იმიერ-კასპიის ოლქი 1890 წლამდე'', ,,შესაძლებელია თუ არა ებრაელთა ემანსიპაცია რუსეთში'', თვით რედაქტორის წერილი: ,,დუშეთის მაზრის მთებში'',, ორი ლექსი და ,,ებრაელთა ლიტერატურის ისტორია'', ლექციები, წაკითხული თვით გრენის მიერვე უნივერსიტეტში.

მეთაურს წერილში ახალის გაზეთის რედაქცია გვპირდება, რომ

> ჩვენ ვეცდებით დავიცათ და დავიფაროთ ინტერესები რუსეთის ყოველა ქვეშევრდომისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, რადგან საგანი ჩვენის ძლიერის სახელმწიფოსი ის არის, რომ შეჰქმნას ძმური ურთიერთობა რუსეთის დროშასა ქვეშეთ.
>
> ჩვენ ყოველთვის სიმართლეს დავუჭერთ მხარს. მარტოოდენ სიმართლეს, და ჩვენთვის ერთგვარ პატივცემულ იქმნება უფლება ებრაელისა და ყოველის რუსეთში მცხოვრებ სხვა ტომის ერისათო.

გაზეთი ამ წლის პირველ ნოემბრიდგან დაიწყებს წესიერად ბეჭდვას და ყოველს კვირა დღეს გამოვა. ვუსურვებთ ახალს თანამოძმეს, რომელსაც ცალი თვალი, რასაკვირველია, ჩვენის ძვირფასის სამშობლოსაკენ ეჭირება, რომ იგი ღირსეულად გაუძლვეს არა ადვილს მოვალეობას ამ გაზეთის გამოცემისას და მართლაც დროშაზედ სამართლიანობა, პირ-უთვნელობა და ქვეყნის სარგებლობა ეწეროს, უტყუარად აღნიშნოს ყოველი ჭირი და ვარამი განაპირა ქვეყნებისა და სამართლიანი მსჯავრიც დასდოს ყოველს მისს სურვილსა და მოქმედებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიღებს კეთილს ნაყოფს გაზეთის მოღვაწეობა და ამ ღვაწლს ღირსეულადაც დააფასებს მკითხველი საზოგადოება და თანაგრძნობით მიეგებება იმისს მოქმედებას.

## რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უკვე დაადგინა შემოიღოს დაბალ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებში სამეტეოროლოგიო საგნის სწავლება და ამ აზრით დააარსოს სასწავლებლებთან სამეტეოროლოგიო სადგურები მე-3 ხარისხისა. ასეთის სადგურების გეგმის შემუშავება მინდობილი აქვს სამეტეოროლოგიო ბიუროს სწავლულთა კომიტეტს, რომელიც ამ ჟამად ჰსაქმობს, რათა შეიმუშავოს პროგრამა დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე შეუდგა სატეხნიკო საზოგადოების მიერ წარდგენილ ,,რუსეთის სტამბის საქმის მოღვაწეთა საზოგადოების'' პროექტის განხილვას. წესდებაზედ ხელი უწერიათ, სხვათა შორის, სატახტო ქალაქების ცნობილ სტამბის პატრონთაც.

— სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსეთის სამეურნეო საზოგადოება შუამდგომლობს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით 1898 წელს საერთო გამოფენა გავმართოთ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საგნებისაო.

— ქ. კრონშტადტში მცხოვრებს განსვენებულს ექიმს ი. ნ. თაიროვს უანდერძებია უმაღლესს დედათა სამკურნალო ინსტიტუტის და მოსკოვის უნივერსიტეტისათვის 32,000 მან. მოსწავლეთა აღსაზრდელად.

— გზათა სამინისტროს სასტატისტიკო განყოფილების ანგარიშით, ამ წლის 1 სექტემბრამდის სახელმწიფოს გამგეობაში იყო 23,697 ვერსის მანძილზედ გაყვანილი რკინის გზა და კერძო საზოგადოებათა ხელში-კი—12,175 ვერსისა. საერთოდ გზათა სამინისტრო განაგებდა 1 სექტემბრამდის 35,872 ვერსის მანძილზედ გაყვანილს რკინის გზებს და სამხედრო სამინისტრო—1,418 ვერ. ამას გარდა ფინლიანდიაშია კიდევ გაყვანილი 2,289 ვერსის მანძილზედ გზა და სულ მთელს იმპერიაში—39,579 ვერსი.

— გზათა სამინისტროს უკვე დაუმთავრებია მუშაობა რკინის გზების გაყვანის შესახებ სამხრეთს რუსეთში.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** არ იქმნა და არაფერი ეღირსა საბერძნეთის დამშვიდებასა და დაწყნარებას. როგორც იქიდგან მოსულის ამბებიდგანა სჩანს, ბერძნები უწინდელებრ უკმაყოფილონი არიან ევროპისა და სხვა და სხვა დასნი და საიდუმლო საზოგადოებანი უწინდელებრ სცდილობენ მთავრობა ოსმალეთის წინააღმდეგ აამხედრონ. თითქმის ყველა გაზეთები ევროპის სამდურავითაა გავსებული. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან ბერძნები და იმათი ჟურნალ-გაზეთები გერმანიის და რუსეთისა. ბერძნების გაზეთების სიტყვით, საბერძნეთი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორშიაც ეხლაა, არასოდეს არ ჩავარდებოდა, ევროპა რომ არ ჩარეულიყო ოსმალეთ-საბერძნეთის საქმეში.

— იქიდამვე ატყობინებენ დეპეშით გაზ. ,,Berl. Loc. Anz.'', რომ ფინანსთა მინისტრმა უკვე შეიმუშავა პროექტი ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ საბერძნეთის ფინანსების კანტროლის შესახებაო. თუმცა იტალიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ჯერ არ ჩამოსულან, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო კომისია ამ დღეებში მაინც შეუდგება ხსენებულის პროექტის განხილვას, ხოლო ზემო დასახელებულ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ნაცვლად ჯერ-ჯერობით კომისიაში მონაწილეობას ამ სახელმწიფოთა ელჩები მიიღებენო.

—

**ოსმალეთი და გერმანია.** გაზეთების სიტყვით, ოსმალეთი და გერმანია ამ ბოლოს დროს ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს და სულთანსა და ვილჰელმ II შორის თითქმის მეგობრული განწყობილება ჰსუფევს. ამას, ჯერ ერთი, ვილჰელმის მიერ სულთანთან მიწერილი წერილი ამტკიცებს და, მეორე კიდევ ის, რომ ამ ჟამად კონსტანტინეპოლში ვილჰლმს მოელიან და ამიტომ დიდს მზადებაში არიანო. ვილჰელმი პირდაპირ კონსტანტინეპოლში არ მიდის, იგი იერუსალიმში მიემგზავრება და მხოლოდ გზად შეუხვევს კონსტანტინეპოლში. ვილჰელმი სულთანს მას შემდეგ დაუახლოვდა, რაც ოსმალეთის ჯარმა საბერძნეთი დაამარცხა. როგორც ყველას მოეხსენება, ოსმალეთის ჯარში მრავალი გერმანელი აფიცერია. სულთანმა იმათ მიანდო თავისის ჯარის გაწყობა-დარაზმა, ამათაც არ უღალატეს სულთანის ნდობას და საუკეთესოდ მოაწყეს იგი. სწორედ იმათის წყალობით იქმნა დამარცხებული საბერძნეთის ჯარი.

## დამაკვირდი

დიდება შენი აჩრდილსა ჰგავს შენსას: ხან წინ მაგიძღვის, ხან უკან მოგდევს; ხან შენზედ დიდია, ხან შენზედ პატარა.

* * *

ადამიანი იმას აქებს, ვისაც სწორი და ტოლი თავისი თავი მიაჩნია.

გიოტე

* * *

ყოველთვის ისეთს კაცებთან უნდა ჰცდილობდეთ დაახლოვებას, რომელთანაც ლაპარაკის დროს იძულებულნი ვართ შკუას ძალა დავატანოთ.

ფოხტერსლებენი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს რუსულ ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები შესახებ იმისა, როგორ არის გავრცელებული დედამიწის ზურგზედ არაყისა და ღვინის სმა. იმ ხალხშიაც-კი, რომელმაც არყისა და ღვინის სახელი არ იცის, საკმარისია მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომ ღვინისა და არყის სმას მიეჩვიონენ. ცნობილი მოგზაური ჰენრი გუდზონი რომ პირველად მივიდა იმ მდინარის ნაპირზედ, რომელსაც ეხლა გუდზონი ეწოდება (ეს მდინარე ამერიკაშია) ადგილობრივ მცხოვრებლებს თითო ჭიქა არაყი შესთავაზა. არაყს შეუჩვეველი ხალხი თითო ჭიქა არყით გამოითრო. ეჭვი არ არის, რომ არაყი და ღვინო იმიტომ მოსწონს კაცს, რომ გულს ამხიარულებს, დარდს ავიწყებს „დალიე ღვინო,—სთქვა სოლომონ ბრძენმა —და დაგავიწყდება შენი სიღარიბე და შენი უბედურება“.

ეხლა, აბა ერთი ესა ბრძანეთ, პირუტყვს ან რა დარდი აქვს, ან რა უნდა დაივიწყოს. მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ პირუტყვიც შეეჩვევა არაყსა, ღვინოს, ლუდს და გალოთდება. ერთს ფრანგულს ჟურნალში სწერია: „ერთ ფარდულში ვაშლები ეწყო, დალპა და არყის სუნი აუვიდა. საქონელი შევიდა ამ ფარდულში, ხარბად დაუწყო ჭამა და გამოითრო. ეს მაგალითი, რა თქმა უნდა, ჯერ იმას არ ამტკიცებს, რომ საქონელს არაყი უყვარდეს, მაიმუნებს-კი მართლა ძლიერა ჰყვარებიათ ღვინო. მეცნიერს ბიუფონს ერთი მაიმუნი ჰყავდა, რომელსაც ძლიერ უყვარდა ღვინო. იჯდა ხოლმე სუფრაზე და არხეინად შეექცეოდა ყოველ გვარ სასმელს. ბრიუსს ორი მაიმუნი ჰყავდა, ორთავენი ყოველ გვარ ღვინოსა სვამდნენ, მაგრამ არაყი-კი უფრო უყვარდათ. მეცნიერს ბრემსაც ჰყავდა მაიმუნები, რომლებსაც ღვინო ძლიერ უყვარდათ და არაყსკი სრულებით არა სვამდნენ. ერთხელ თითო ჭიქა არაყი დალიეს, დაითვრნენ და ავად გახდნენ. საკვირველი ის არის, რომ ამ მაიმუნებმა მერე აღარც ღვინო მიიკარეს. აფრიკის მაიმუნებს თითქმის ყველას ძლიერ უყვართ არაყი და ღვინო. ერთის სიტყვით მაიმუნები ადვილად ეჩვევიან ღვინისა და არყის სმას. არც ძაღლებს ეჯავრებათ თურმე არაყი, ღვინო და ლუდი. ერთს კაცს, გვარად ალისს, ძაღლი ჰყავდა, რომელიც ყოველ დღე 4—5 ჭიქა ლუდსა სვამდა. ავსტრალიაში ერთს კაცს დათვი ჰყავდა, რომელსაც ძლიერ უყვარდა არაყი და თუ მეტი მოუვიდოდა, დაითრობოდა, რაც შეჰხვდებოდა, ყველაფერს ამტვრევდა. თამბაქოსაც ძლიერ ეწყობოდა ეს დათვი და სიამოვნებითა სჭამდა. ასე გასინჯეთ, ჩიბუხი რომ ენახა სადმე, იმასაც დაამტვრევდა და შესჭამდა. სხვა პირუტყვებსაც ძლიერა ჰყვარებიათ თამბაქო. ერთის გემით თხა მიჰყავდა მზარეულს. ეს თხა უნდა დაეკლა. მაგრამ შეატყო რომ, აუარებელს თამბაქოსა სჭამდა. მზარეულმა იფიქრა, ვაი თუ ამ თხის ხორცმა აწყინოს მგზავრებსაო და აღარ დაკლა. ამ გვარად ცუდმა ჩვეულებამ თხა სიკვდილს გადაარჩინა. ცხენებსაც ძლიერ უყვართ თურმე თამბაქო, მაგრამ ძლიერაცა სწყინთ და თამბაქოს ჭამისაგან ბრმავდებიან. ღვინო და არაყი აგრეთვე სპილოსაც ჰყვარებია. ვინ მოიფიქრებდა, რომ თაგვი არაყს დალევდა. ერთს კაცს მოუსწრია, თაგვისთვის, რომ არაყს მიჰპარვოდა და სვამდა. სიმთვრალისაგან შიშიც დაჰვიწყებოდა თურმე და კაცი რომ ოთახში შევიდა, ჩვეულებრივად არ გაიქცა. მაშინ კაცმა კატა შემოიყვანა. ეხლა-კი თაგვმა იკადრა გაქცევა, მაგრამ ისე დამთვრალიყო, რომ სირბილი ველარ შესძლო. ამ გვარად სიმთვრალემ თაგვს სიცოცხლე მოუსწრაფა.

ფრინველთა შორის არაყი უყვარს თუთიყუშებს, იხვებს და ქათმებს. ერთს გერმანულს ჟურნალში შემდეგი ახირებული ამბავი სწერია: ერთმა კაცმა უჩივლა თავისს მეზობელს არყის ქარხნის პატრონს. საჩივარი შემდეგის გარემოებით იყო გამოწვეული. მომჩივანმა მოახსენა მსაჯულებს: რამდენიმე წელიწადია ქათმებს ვაშენებ და კარგი მოგებაცა მქონდა, მაგრამ რაც ჩემმა მეზობელმა აქ არყის ქარხანა გამართა, ძლიერ ბევრსა ვზარალობო ქარხნიდგან ყველაფერს რუში ჰყრიან, რუ არყით იჟღინთება და ქათმები თვრებიანო. თვისის სიმართლის დასამტკიცებლად ამ კაცმა სასამართლოში ერთი მთვრალი ქათამი მოიყვანა და სთქვა, ამ ჟამად ყველა ჩემი ქათმები მთვრალები არიანო. შემდეგ მომჩივანმა განმარტა, კვირაში ექვსს დღეს ჩემი ქათმები და იხვები მთელ დღეს მთვრალები არიან და მარტო კვირა დღეს არიან ფხიზლები, რადგან ამ დღეს ქარხანა არა მუშაობსო. ამგვარად ქათმები და იხვები კვირა-უქმეს გარდა მთვრალები არიან და ან სძინავთ ან ჩხუბობენო. კვერცხს რიგზედ არა სდებენ და როცა სდებენ, დაითვრებიან, კვერცხს ამტვრევენ და თითონა სჭამენო.

## პასუხად ი. გ—ს.

„ივერია“ № 188.

(წერილი რედაქციის მიმართ).

> Есть люди, съ которыми ни очемъ не хотѣлось бы говорить, и есть вещи, о которыхъ ни съ кѣмъ не хотѣлось бы говорить.
>
> ბელინსკი

ამ სტრიქონების წერის დროს მომაგონდა ზემოთ-მოყვანილი სიტყვები რუსეთის გამოჩენილის კრიტიკოსის ბელინსკისა და ერთხანად გადავსწყვიტე პასუხი არ მიმეცა ჩემი შრომის მკიცხავ ი. გ—სთვის. მაგრამ რასა იქს კაცი, როდესაც გამოგივარდება რომელიმე მასკა-ჩამოფარებული ავტორი და ისეთს რაზედმე გებაასება, ისე გცილწამებს და უკადრისად გიხსენიებს, რომ იძულებული ხდები თავი იმართლო ცილის დამწამების წინაშე-კი არა, საზოგადოების იმ პატარა ნაწილის წინაშე, რომელსაც სჯერა ეს ცილისწამებანი. ბელინსკისა არ იყვეს: „вѣдь быть безъ вины виноватымъ передъ кѣмъ бы то ни было, очень непріятно“.

„ივერიის“ 188 №-ში ვრცელი წერილია დაბეჭდილი ჩემი საყმაწვილო წიგნის შესახებ; ავტორი ამ წერილისა მიკიჟინებს ენის უცოდინარობას. და სწორედ ამ წერლს უნდა მივაქციო მკითხველის ყურადღება და დავამტკიცო რამდენად მართალია იგი. „ნათაძეს ქართული ენა არა სცოდნია და სახელმძღვანელოსკი ადგენსო“ ბრძანებს ბ-ნი ი. გ. და რაზედ ამყარებს ახლა ამ ჩემს უცოდინარობას, თუ იცით მკითხველო? ჩემი წიგნიდგან ამოგლიჯა აქა-იქა ფრაზები და სიტყვები, აკაკი წერეთლის ლექსები ხალხურ ლექსებად მოიჩვენა და ენა დაუწუნა, საბა-ორბელიანის შესანიშნავი არაკები ჩემ ნათარგმნებად წარმოიდგინა და ენა დაუწუნა, ვაჟა-ფშაველას ერთს მშვენიერს ლექსს ტყავი გააძრო, ხალხური პოეზია აითვალწუნა და ტყავი გააძრო და დასასრულ ესა ბრძანა: „ნათაძეს ქართული ენა არა სცოდნიაო“. მაგრამ მივყვეთ ავტორს ფეხ-და-ფეხ (ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს) და დავანახოთ მკითხველს ვის არა სცოდნია ქართული—მე, თუ-უფრო შენიშვნის ავტორს, 1) სიტყვა „ყურძენი შემოსულა“ მე მთელს საქართველოში არსად არ გამიგონიაო“, ბრძანებს ი. გ. განა თქვენ რომ არ გაგიგონიათ, საბუთი გაქვთ იძახოთ, რომ ეს სიტყვა არსად არ იხმარება? თუ-კი შეიძლება ითქვას: „ბიჭო ბური შემოსულა“ [1]), თუ-კი შეიძლება ითქვას მაყვალი შემოსულა, მარწყვი შემოსულა, ხილი შემოსულა და სხვა, განა ყურძენზედ აღარ ითქმის „ყურძენი შემოსულაო'', და ესეც რომ არ იყვეს—გაისაჯეთ და რომელიმე ქართლელს გლეხსა, თუ თავადს, პატარასა, თუ დიდს დაეკითხეთ ამ სიტყვის მნიშვნელობა და ყველა დააკმაყოფილებს თქვენს ცნობის-მოყვარეობას. თქვენ უფრო კარგად რომ გაიცნოთ ყველა კუთხე საქართველოსი, ბევრს იმისთანა სიტყვას გაიგონებთ, ჩემო კრიტიკოსო, რომელიც თქვენ არ გაგიგონიათ, მაგრამ სხვას-კი გაუგონია. 2) ,,ნაყრი''—ამას ვერც იმერეთის ბავშვი და ვერც ამერეთის ბავშვი ვერ გაიგებსო''.—და არც გასაკვირალია: თუ თქვენ, რომელიც ,,ლიტერატორობასა''სჩემობთ, ვერ შეგიგნიათ—რა არის ,,ნაყრი'', აბა 7—8 წლის ბალღს რა მოვთხოვო. ახსნა: ქართლ-კახეთში ამბობენ: დავნაყრდი—აქედგან წარმოსდგება სიტყვა ნაყრი ე. ი. მცირედი რამ ჭამადი, რუსულად რომ იტყვიან закусить. იმერეთში ამას ხემს უძახიან [2]). იმერეთში იტყვიან:

---

[1]) თ. რაფ. ერისთავის ლექსი „პურის მთსავალი“.

[2]) იხ. საბა სულხან-ორბელიანის ლექსიკონი (გვ. 395).

დღეს ჩემს პირს ხემსი არ უნახავსო, ქართლ-კახეთში—„ნაყრი არ უნახავსო“. 3) „გახმა ცაცხვი, გახმა სოფლის დამშვენებელი“; ესე არ ითქმისო, ბრძანებს ი. გ., უნდა ითქვას „სოფლის დამამშვენებელიო“. ახსნა: ეს სიტყვები—„დამშვენებელი და დამამშვენებელი“ ერთი და იგივე ზმნისაგან წარმოსდგებიან: დავამშვენებ, ვამშვენ, დავმშვენდები და სხ. [3]). ამათ ერთი და იგივე ფესვი აქვთ, და ორივე შეიძლება იხმაროს კაცმა—„დამშვენებელიც და დამამშვენებელიც“. მე ვხმარობ პირველს, როგორც ბავშვების მიერ ადვილად გამოსათქმელს, ისე როგორც თ. რაფ. ერისთავი ხმარობს: „ვაზის პირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა, წითელის ღვინის დედაა გამხარებელი გულისა“ [4]). აქ გამამხარებელს არავინ იტყვის, ჩემო კრიტიკოსო!

4) ჩვენ ყველანი უსწავლელნი და ნასწავლი კარანდაშსა ჰხმარობენო, ბ-ნი გოგებაშვილიც კარანდაშსა ხმარობსო და შენ როგორ გაბედე და „ყარანდაში“ იხმარეო. ახსნა: ჩვენს მწერლობაში ეხლა ბევრი ხმარობს „ყარანდაშს“ და სხვათა შორის ისეთი ფილოლოგიც, როგორიც იყო ნეტარხსენებული დავით ჩუბინაშვილი [5]). ესევე ზოგი ჩვენი მწერალი ხმარობს „სკოლა“, ზოგი „შკოლას“ ამჯობინებს და სხ.

5) ყველა-ყველა, მაგრამ იმას-კი არ მოველოდი პატივცემული კრიტიკოსისაგან, რომ ამას ის არ ეცოდინებოდა, თუ რა დაუწერიათ ჩვენ სასიქადულო პოეტებს და მათ შორის აკაკი წერეთელს. კრიტიკოს მოსჩვენებია აკაკის მშვენიერი ლექსი „კურდღელი“ სახალხო ლექსად, „კატის ომი“ არა სცოდნია, რომ აკაკის კალამს ეკუთვნის, მისდგომია ამ ორ ლექს და თავის ჭკუაში ენას უსწორებს. მე იმის განმარტებაში არ შევალ, თუ რა წუნს უდებს აკაკის ლექსებს კრიტიკოსი, ამ საქმეში თვით აკაკი წერეთლის ავტორიტეტობაა პასუხი ამ შენიშვნებისა.

6) „ციკნები და მგელიდგან“, რომელიც გადმოკეთებულია ერთი ჩვენი ახალგაზდა პოეტის მიერ, ამოუგლეჯია ერთი ტაეპი ლექსისა, დაუმახინჯებია და გაიძახის—„ეს რა ლექსია, ერთი მიბრძანეთო“. აი რა გვარად დაუმახინჯებია ეს ლექსი:

დედა ვარ თქვენი, რძე მომაქვს
მინდვრიდგან მოვიარები,
ცურში რძეს ვეღარ ვიკავებ
და ცივ მიწაზედ მიდისო (?!) და სხ.

წიგნში-კი აი როგორი ლექსია:

„შვილებო, მარგალიტებო!
„გამიღეთ ჩქარა კარები,
„დედა ვარ თქვენი, რძე მომაქვს,
„მინდვრიდგან მოვიარები.
„მოვძოვე წმინდა ბალახი,
„წყალი დავლიე მთისაო,
„ცურში რძეს ვეღარ ვიკავებ
„და ცივ მიწაზედ მდისაო“.

აბა რა წუნი შეიძლება დაედვას ამ ლექს, ეს მკითხველისათვის მიმინდვია, მაგრამ ეს კი საკადრისი არ არის „რაღაც მოსაზრებით“ დამახინჯება ლექსისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ესაც იმისი ბრალია, ჩემო მკითხველო, რომ „ცოდვამ მოგვიცვა ნათელი, გარს მოეხვია ბნელია“. აქაც მოთმინების მეტი არ დაგვრჩენია-რა!..

7) კრიტიკოს გაჰკვირვებია, რომ „მოკეთის“ მე 44 გვ. სიტყვა „ჯაყვა“-სა ვხმარობ და დანასაც. და დახე წუთისოფელს! მე მეგონა ამ სიტყვის ხმარებისათვის მადლობას მივიღებ-მეთქი და საქმე „საკრიტიკოთაც“ გამიხდა. განმარტება: ჩემი წიგნის შედგენის დროს, სხვათა შორის, ის აზრიცა მქონდა, რომ რაც შეიძლება მარჯვედ დამეხმარებინა ქართლ-კახეთის რუსულ-თათრული ენით გარყვნილს ლექსიკონს ზოგიერთა იმერეთის ზოგიერთი ნამდვილი ქართული სიტყვები. ამისთვისაც მაქვს ნახმარი: საინი (თეფში), ქვევრი (ჭური), ბჟოლა (თუთა), ღლავი (ლოქო) და სხ. ბევრი რამ და სხვათა შორის „ჯაყვაც“, რომელიც ნიშნავს და საკეც დანას. ჩვენში რუსული ენის გავლენის ქვეშ („Перочинный ножикъ“) ხმარობენ კალმის დანათ, მაშინ როდესაც საკუთარი ქართული სიტყვა გვაბადია „ჯაყვა“. მე ჩემს წიგნში ორივე სიტყვა მაქვს მოყვანილი „დანა“-ცა და „ჯაყვაც“, პირველი როგორც საზოგადო სახელი და მეორე—როგორც სახელი ერთგვარი დანისა. რა არის აბა აქ გასაკიცხი. მაგრამ ესეც იმისი ბრალია, რომ „ცოდვამ მოგვაცვა ნათელი, გარს მოეხვია ბნელია“.

8) ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი თავის ჟურნალში [6]) ამბობს: „ჩვენებური საქმე მაგრეა: გაჩენისათანავე თან დაჰყვებიან და კვალში სდევენ შური, მტრობა, ცილის წამება და კილი. ეგება გავმუროთ როგორმეო.—ეს საზოგადო მოვლინებაა ცხოვრებაში“ და მე ჩემს თავზე ვიტყვი, მე რაღა წითელი კოჭი ვარ, რომ ამცდეს. მაგრამ რათა, რა უფლებით ლანძღავენ და აგინებენ ჩვენს სასიქადულო მწერლებს, ისეთს, როგორიც არიც ნეტარ-ხსენებული საბა ორბელიანი თავისი შესანიშნავი არაკებით. მაგრამ დაუბრუნდეთ საქმეს: ჩვენმა ულმობელმა კრიტიკოსმა საბა ორბელიანის შესანიშნავი არაკები ჩასთვალა ჩემს ნათარგმნებათ და, რაღა თქმა უნდა, გაკიცხა ენა. „ნათარგმნს(?) იგავში „ვირი და მგელი“ ასეთს სიტყვებს შეხვდებით, ბრძანებს კრიტიკოსი, „მგელმა პირი მიჰყო უნდა ამოელო“, მკითხველი ვერას გაიგებსო, რის თქმა უნდოდა (?) ავტორს (?!). ახსნა: ეს იგავი ნათარგმნი კი არ არის, ბ-ნო ი. გ., იგი ეკუთვნის ჩვენს შესანიშნავს საბას, რომლის ენას და მარჯვე შინაარსის არაკებს თვალ საჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. საბა ორბელიანი სწერს: „მგელმა პირი მიჰყო უნდოდა ამოელო“ [7])—ესევე ხმარობს ბ. ნ. მთვარელიშვილი [8]). რაფ. ერისთავსაც ასევე აქვს, როგორც მე: „მიჰყო პირი ერთგულათა, ჩააფრინდა ლურსმნის ნატეხს [9]). ხომ ყურობ, მკითხველო, რომ გაკიცხული წინადადება ჩემმიერ შეთხზული არ არის, ჩემმიერ მოგონილი. მაშ რაღას მკიცხავს ბ-ნი ი. გ.? ამის გამოცანაც მკითხველისთვის მიმინდვია.

9) „მელია და წერო“ უმსგავსის (?) ქართულის (?) ენით არის ნათარგმნიო (?!) და ნიმუშად მოჰყავს ორი ფრაზა: ა) „მელია ენით სთვლეფავდა და წერო კი რას შესჭამდა თეფშზედ; ბ) წერო მადიანად შეექცეო და, მელიამ-კი ტუჩი ვერ ჩასტია, რას მიირთმევდა?“ რა ქართულიაო, ბრძანებს კრიტიკოსი. ახსნა: ეს არაკიც ჩემი ნათარგმნი არ არის, ჩემო კრიტიკოსო, ესაც ეკუთვნის იგივე საბა ორბელიანს, რომელიც ასე სწერს: ა) „მელია ენით სთქლაფავდა და წერო რას შესჭამდა თეფშზედ;“ ბ) მელიამ ტუჩი ვერ ჩასტია, რასა ჰჭამდა [10]). ეგრედვე ხმარობს ნ. მთვარელიშვილიც [11]).—

10) „მელია და თხის“ ავტორად მე მხდის... ვამაყობ ამით, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ეს შესანიშნავი ზღაპარიც იგივე ორბელიანს ეკუთვნის. ამ უშველებელ ზღაპრიდგან ამოუგლეჯია ორიოდე ფრაზა და გაიძახის: „ძნელია კაცმა ამ წინადადებებს თავი და ბოლო გაუგოსო, ამიტომ მეც თავს ვანებებო.“ აი ეს ფრაზებიც: ა) მოვიდა მელია და ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, რომ თხას შიშით თვალი დაუბნელდა. ბ) გაუწყრა ღმერთი, მგელი ხვავზედ შედგა; წამოხტნენ ძაღლები და მელა და მისი მოწამე ისე გახადეს, რომ შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლევანდელი ეშოვნათ“. ესევე აქვს ნახმარი თვით ავტორსაც [12]) და ნ. მთვარელიშვილსაც [13]).

11) „კეფხვი შეშინდა, მრჩეველებს აღარა უსმინა-რა“ ცუდი ქართულიაო. „გზაზედ კაც ერთი უსინათლო და უწინამძღვრო გლახაკი შემოეყარა, ჯოხის ცეცებით პოვებდა გზასა.. სთქვა თვალ-ხილულმა: ერთი უნდა გამოვცადო, ეს ბრმა როგორი კაციაო?... წავიდა მის პირის-პირ და ზედ შეეტაკა და დაიძახა და სხვა. აბა რა არის აქ გაუკებარი და დასაწუნი, ჩემო მკითხველო, მაგრამ „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. წიგნში რომ ვერაფერი ნახა გასაკიცხი, ღობე-ყორესლა ედება ჩვენი კრიტიკოსი. ეს წინადადებებიც ისევე აქვთ ნახმარი საბა ორბელიანსაც და ნ. მთვარელიშვილსაც [14]).

12) „მამალო ფერად ფრთიანო, აბრეშუმს გიგავს წვერია“.

„ფერად-ფრთიანო“ არ ვიცი რა არისო. ფრთები, არა მგონია, არ იცოდეთ, რა არის და თუ ფერადი ან ფერად-ფერადი [15]) არ იცით, გაისაჯეთ და თქვენს პაწაწინა მოწაფეებსა ჰკითხეთ და ისინი აგიხსნიან მის მნიშვნელობას და მე კი დამიხსენით ამ განმარტებიდგან, რადგანაც, მგონი, ისეც შევაწუხე მკითხველი.

დასკვნა: „კრიტიკის წერისათვის მარტო სურვილი და განდიდების მადა არა კმარა, ამისთვის ბევრი რამ სხვაც არის საჭირო და უპირველესად ენის ცოდნა და გაგება დაწერილისა, რაც ბ-ნს ი. გ. აკლია“.

ალ. ნათაძე

[3]) იხ. არ. ქუთათელაძის ქართული ზმნების კლასიფიკაცია.

[4]) იხ. რ. ერისთავის ლექსი „ვაზის პირიმე“.

[5]) იხ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი (393 გვ.).

[6]) იხ. „კრებული“ № 1, 6 გვ. „უბრალო საუბარი“.

[7]) იხ. „სიბრძნე-სიცრუე“ საბა ორბელიანისა, 58 გვ.

[8]) იხ. არაკები მოწაფეთათვის სახმარ. გამოკ. და გამართული ნ. მთვარელიშვილიი მიერ და გამოცემული ქართველთა ამხანაგობისა.

[9]) იხ. იგავ-არაკნი რაფ. ერისთავის, 85 გვერ.

[10]) იხ. სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა 99 გვ.

[11]) იხ. არაკები მოწაფეთათვის სახმარ. 17 გვ.

[12]) იხ. სიბ. სიცრუე—საბა ორბ. გვ. 77.

[13]) იხ. არაკები მოწაფ. 76 და 77 გვ.

[14]) იხ. სიბ. სიცრ. 184 გვ. და არაკები მოწაფ. 44 და 45 გვ.

[15]) იხ. საბა ორბელიანის ლექსიკონი.

## წყალ-წმინდის ძმობისაგან

—

როგორც გამოცხადებული იყო, უდაბურს წყალწმინდას სწავლა დაიწყო სექტემბრიდგან. სხვა-და-სხვა მხრიდგან შეიკრიბა თორმეტამდე მოსწავლე. ამათში ურევიან თავადისა, აზნაურისა და სასულიერო წოდების შვილნიც. ბავშვები სწავლობენ წერა-კითხვას, იძენენ სამეურნეო ცოდნას და თავისუფალ დროს გალობასაცა სწავლობენ. გალობას ასწავლის სპირიდონ ლოსაბერიძე ბ-ნ ქორიძის მიერ გადაღებულის ნოტებით. გურული პაწია ბავშვები დიდის ხალისით სწავლობენ გალობასა და აგრეთვე სხვა საგნებსაც.

კარგი იქნება სხვებიც დაგვეხმარნენ ამ საქმეში; ხოლო დახმარება კი ის იქნება, რომ ყველა შეძლებისადა გვარად ეცადოთ და გაავრცელოს ეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, გულისა და სულის დამატკბობელი გალობა. ჩვენ ჩვენის მხრით შეგვიძლიან მსურველთ უფასოთ ვასწავლოთ გალობა, მხოლოდ ხარჯი-კი, ე. ი., რაც თითონ დასჭირდება, თავისი უნდა იყოს. თუ ესეც არ ექნება, შეიძლება რამდენიმე საათი იმუშავოს სასკოლო მამულში და ხარჯი აქვე მიეცემა. სულ ოთხი საათი რომ იმუშავოს დღეში, საკმარისი იქნება, დანარჩენს დროს გალობას მოახმარებს. თუ ვისმესთვის მუშაობა მოუხერხებელი იქნება, შეგვიძლიან მცირე ფასად დავუთმოთ, რაც საჭირო იქნება იმისთვის.

იოსებ ლეჟავა და სიმონ ქორიძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ოქტომბერი.

**ბაქო.** 12 ოქტომბრის ღამეს კვლავ მოეკიდა ცეცხლი ბიბი ეიბათში შადრევანს ნობელის სამრეწველოზედ. დაიწვა 4 ამბარი ნავთისა.

რომანიში ნავთის შადრევანთა ცეცხლი ჩაქრა. ამ ცეცხლისაგან, თუ ისიც ვიანგარიშეთ, რომ ერთს თვეს წარმოება შეჩერებული იყო, ზარალი მილიონამდე იქმნება.

**დარმშტადტი.** ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ინახულეს გერმანიის საიმპერიო კანცლერი მეუღლითურთ, რომელნიც შემდეგ სადილსაც დაესწრნენ.

**კონსტანტინეპოლი.** შეწყნარებულია ყველა მუხლი საბოლოო ზავის ხელშეკრულობისა, იმ მუხლის გარდა, რომელიც საელჩო პირობას შეეხება; ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლები ამ მხრივ ერთმანეთს ვერმოურიგდნენ, რის გამოც დღეს აპირებენ ელჩთა ნახვას და იმათთან მოლაპარაკებას ამ უთანხმოების შესახებ.

**ცეტინიე.** სკუტარიდგან იუწყებიან, რომ გუბერნატორის მიერ მხნედ მიღებულ სასტიკ ღონისძიებათა წყალობით ალბანიაში მშვიდობიანობა კვლავ დადგენილ იქმნაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ პატივცემულ მკითხველთ ალბად მოეხსენებათ, რომ ამ გაზეთში „დათიკო ვერმიცანაშვილის“ ფსევდონიმით დროგამოშვებით ცოტაოდენი საგაზეთო მასალა იბეჭდებოდა. ავტორი ამ საყოველდღეურო ჭირ-ვარამთა წერილებისა იმდენად სულელი არ ყოფილა, რომ ამითი საუკუნო სახელის მოხვეჭა ეფიქრნა, მაგრამ, რადგანაც არც ერთი ყვავი თურმე ისეთი არ არის, რომ თვისი ბახალა არ მოსწონდეს, ამიტომ, ვგონებ, ნება ჰქონდა და კიდეც აქვს სთქვას, თუ თითონ არ ითაკილებს, ეს ფსევდონიმი და ამ ფსევდონიმით ნაწერი ჩემი კუთვნილება არისო. ეს ხომ ასეა, ხოლო დახეთ ბედის ცვალებადობას, რომ ფსევდონიმი უკვე წარმტაცეს და შეიძლება წინანდელ ჩემს ნაწერებზედაც დავა განმიცხადონ. ეს გახლავთ აძვიბუელი კორესპონდენტი რომლის წერილიც „ივერიის“ მე-200 №-შია დასტამბული „დათიკო ვერმიცანაშვილის“ ფსევდონიმით. ვინ იცის, აძვიბუელი კორესპონდენტი იქნება შესანიშნავი ვინმე ბრძანდებოდეს და უკვდავი რამ ქმნილებაც შეჰქმნას მისმა კალამმა, ამიტომ ურიგო არ იქნება, ამ თავითვე გაუფრთხილდეს თავისს სახელს, რომ უკვდავის ქმნილების ავტორს ჩემი სუსტი და უნდო შრომაც არ მიაწერონ და მით არ დაჩრდილონ მისი სახელი, ვურჩევ ფსევდონიმი გამოიცვალოს.

ადრინდელი დათიკო ვერმიცანაშვილი


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა**

**ბ. მ. მირიმანიანისა**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(26)


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Октября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.